პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“

ციტირების აკადემიური სტანდარტი

[შინაარსი]

I. სქოლიოს გაფორმების წესი 2
II. ცალკეულ წყაროთა მითითების წესები და მაგალითები 3
1. სამართლებრივი აქტი 3
2. ლიტერატურული წყაროები 4
3. სასამართლოების გადაწყვეტილებები 5
4. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტები 6
III. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი 6

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სამეცნიერო გამოცემის — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალის“ ციტირების აკადემიური სტანდარტი ამკვიდრებს აკადემიური მითითებისა და აღნიშვნების ერთიან წესს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომებისათვის.

I. სქოლიოს გაფორმების წესი

საკვლევ თემაზე მსჯელობის განვითარებისას, პოზიცია და შუალედური დასკვნები ყალიბდება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით. სათანადოა მითითება, თუკი ციტატა ჩასმულია ბრჭყალებში და სქოლიო გაფორმებულია წინამდებარე წესების მიხედვით. პერიფრაზის ან ცალკეული აზრის მაფორმირებელი წყაროს მითითებისას, გამოიყენება შესაბამისი სიტყვა: „იხილეთ ციტირება“ (იხ. ციტირება) ან „შეადარე“ (შეად.). „შეადარე“ გამოიყენება მაშინ, როდესაც ავტორს სჭირდება განსხვავებულ აზრზე მითითება. ქართული ტექსტისთვის გამოიყენება „ქვედა“ და „ზედა“ („ ... “) ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის — მხოლოდ “ზედა” (“ ... ”) ბრჭყალები.

ნაშრომის ძირითად ტექსტში დასაშვებია მხოლოდ თემის სათაურთან უშუალო კავშირში მყოფი ან დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინფორმაციისა თუ ანალიზის მითითება. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია, მიეთითოს სქოლიოში. უცხოური ტერმინები და გამოთქმები გადმოცემა მიზანშეწონილია სქოლიოში.

სქოლიოში აუცილებელია ციტირებული წყაროს საჭირო ბიბლიოგრაფიული კომპონენტის (ავტორის, ნაშრომის სახელწოდების, წლის, გვერდ(ებ)ის) მითითება. თუმცა სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო წინა სქოლიოში, დასაშვებია მითითება შემდეგი სახით: მიეთითება სიტყვა — „იქვე“. „იქვეს“ შემდეგ კი (საჭიროების შემთხვევაში) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი).

<u>მაგალითად:</u>

[1] *ალექსიძე ლ., გაგუა ი., კობახიძე ე., რუხაძე ნ.,* ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, 2015, 10-26.

[2] იქვე, 158-159. [ე. ი., წყარო იგივეა, განსხვავებულია გვერდები]

[3] იქვე. [წყაროც და გვერდებიც ერთი და იგივეა]

სქოლიოში აუცილებელია მითითების ერთიანი სისტემის/სტანდარტის დაცვა. ნაშრომის ავტორ(ებ)ი უნდა გამოიკვეთოს დახრილობით (ე. ი. *იტალიკით*). ხოლო დანარჩენი მონაცემი უნდა დაიწეროს გამართულად. ასევე *დახრით* მიეთითება როგორც ავტორის *გვარი* და *სახელის ინიციალი*, ისე რედაქტორის ან მთარგმნელი პირის გვარისა და სახელის ინიციალი, სიტყვა „რედაქტორის“ და სიტყვა „მთარგმნელის“ შემოკლებები: *(რედ.)* და *(მთარგმ)*. ამავე დროს, წყაროს ყველა ბიბლიოგრაფიული ერთეული (გარდა

ავტორ(ებ)ის გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით. სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.

<u>მაგალითად:</u>

[1] *კროპჰოლერი ი.,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, *დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.),* მე-13 გამოც., თბ., 2014, § 631, აბზ. 1.

სქოლიოში მითითებული უცხოენოვანი წყაროს ყოველი სიტყვა იწერება დიდი ასო-ბგერით, **გარდა** კავშირებისა, თანდებულებისა და არტიკლებისა.

<u>მაგალითად:</u>

[1] *Kuester E. L.*, Confidentiality in Mediation, a Trial of Broken Priomises, Hamline Journal of Public Law and Policy, Vol. 16, № 2, 1994-1995, 579.

უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).

II. ცალკეულ წყაროთა მითითების წესები და მაგალითები

1. სამართლებრივი აქტი

- **მოქმედი სამართლებრივი აქტების** ციტირებისას, სქოლიოში მიეთითება სრული დასახელება, მუხლი, პუნქტი/ნაწილი, წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, თარიღი.

<u>მაგალითად:</u>

[1] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 5669-რს, 28/12/2011.

- **კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებისას,** მიეთითება კონვენციის/საერთაშორისო ხელშეკრულების სახელწოდება, მუხლი/პუნქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წყარო, რომელშიც იგი

გამოქვეყნებულია, კონვენციის/ხელშეკრულების მიღების/ძალაში შესვლის თარიღი.

<u>მაგალითად:</u>

Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer, International Legal Materials, 1985, 1520.

2. ლიტერატურული წყაროები

- **წიგნი** — ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ნაკვეთის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

- **ნათარგმნი წყაროები** — შესაბამისი ნაშრომის ავტორის გვარი და სახელის ინიციალი, ასევე ნაშრომის სათაური, მთარგმნელის გვარი და სახელის ინიციალი, ფრჩხილებში მიეთითება მისი სტატუსი — *(მთარგმ.)*, რედაქტორის გვარი და სახელის ინიციალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) — *(რედ.)*. ყველა გვარი და სახელის ინიციალი მიეთითება *დახრით* (*იტალიკით*).

<u>მაგალითად:</u>

[1] *ციპელიუსი რ.,* იურიდიული თეორიების მოძღვრება, *თოთლაძე ლ. (მთარგმ.)*, 2006, 8-11.

- **კრებულის სტატია** — სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალი, სტატიის სათაური, კრებულის სახელწოდება, კრებულის რედაქტორის გვარ(ებ)ისა და სახელის ინიციალის მითითებით *(რედ.)*, ნაწილის/ნაკვეთის/ტომის ნომერი (არსებობის შემთხვევაში), წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

- **ჟურნალის (გაზეთის) სტატია** — სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი და სახელის ინიციალი, სტატიის სათაური, პერიოდიკის სახელწოდების შემოკლებით (ჟურნ./გაზ.), სახელწოდება, ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე).

<u>მაგალითად:</u>

Wolfgang K., Digital Markets, Data, and Privacy: Competition Law, Consumer Law and Data Protection, Journal of Intellectual Property Law & Practice, Vol. 1, 2016.

- **ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული მასალა** — მიეთითება შესაბამისი ინტერნეტგვერდი და ბოლო განახლების თარიღი.

<u>მაგალითად:</u>

GDPR, Country Reporter, Article 2, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_2_GDPR> [09.05.2022].

3. სასამართლოების გადაწყვეტილებები

- **ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებები:**

<u>მაგალითად:</u>

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება № 1/4/693,857 საქმეზე: „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- **საერთაშორისო სასამართლოთა საქმეები და გადაწყვეტილებები:**

<u>მაგალითად:</u>

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო - European Court of Justice

CJEU, Case C- 212/ 13, *Ryneš* [2014], §33.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - European Court of Human Rights

Case of I. V. Ț. v. Romania, [2022] ECHR App. No. 35582/15.

4. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტები

მაგალითად:

EDPB, Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data through Video Devices, 2020, <https://edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_201903_video_devices.pdf> [09.05.2022].

III. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

ბიბლიოგრაფია ნაშრომს ბოლოს ერთვის. იგი აერთიანებს ნაშრომში ციტირებულ წყაროებს, ამ წყაროთა ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტისა და ციტირებული გვერდების მითითებით. ბიბლიოგრაფია კონსოლიდირებული (გაერთიანებული) სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული. ქართულენოვანი წყაროების შემდგომ მიეთითება ყველა უცხოენოვანი წყარო (გაერთიანებული სახით).

ბიბლიოგრაფიაში უპირველესად მიეთითება ქართულენოვანი ნორმატიული მასალა, შემდეგ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა **ავტორთა გვარების ანბანური თანმიმდევრობით**. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (**უახლესიდან უძველესისკენ**). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ, იმავე თანმიმდევრობით განთავსდება **დასავლეთ-ევროპულ ენებზე** ხელმისაწვდომი ნორმატიული მასალა, სამეცნიერო ლიტერატურა ასევე **ავტორთა გვარების ანბანური თანმიმდევრობით** და საერთაშორისო სასამართლო გადაწყვეტილებები უცხო ენაზე. ბოლოს კი მიეთითება ელექტრონული ბმულები.

ყოველი სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოში მიეთითება **შესაბამისი გვერდები.** ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომლებსაც ავტორი ციტირებს სქოლიოში.

<u>მაგალითად:</u>

ბიბლიოგრაფია:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 5669-რს, 28/12/2011.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 22/06/1999.
3. *კოდუა ე.* (*რედ.*), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004, 351, 356-360.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება № ბს-651-626(კ-13).
5. *Bosch J.*, Immunität und internationale Verbrechen, Dusseldorfer Rechtswissenschaftliche Schriften, Band 27, Baden-Baden, 2004, 64.
6. *Palidauskaite J.*, Codes of Conduct for Public Servants in Eastern and Central European Countries: Comparative Perspective, 2, 7-8, <http://bit.ly/2sgG1jC> [03/12/2019].
7. *Accardi and Others v. Italy (dec.)*, [2005] ECHR, № 30598/02.
8. *Bonev v. Bulgaria*, [2006] ECHR, № 60018/00, §43.
9. <www.supreme.justia.com/us/384/436/case.html> [03.12.2019].

* * *